პარტიის მოწოდებას საქმით ვუპასუხებთ!

— ასეთია საქართველოს მშრომელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება

1973 წლის დადებითი შედეგები საჭირო პირობებს გვიქმნიან ხუთწლედის მეოთხე წელს უფრო წარმატებული მუშაობისათვის. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ეკონომიკის ზრდის სწრაფი ტემპი, არსებითად გავაუმჯობესოთ მუშაობის ყველა თვისებრივი მაჩვენებელი, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა.

სკკპ ცკ-ის მიმართვიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკებს მოუწოდებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოციალისტურ შეჯიბრებაში შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

სკკპ ცკ-ის მიმართვიდან.

ამ ოგველის ბევრი რთული და პასუხსაგები საქმე. ლენინურ პარტიას ღრმად სწამს დიადი შემოქმედებითი ენერგია ჩვენი ხალხისა, რომელსაც უნარი შესწევს დაძლიოს ყოველგვარი სიძნელე მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, ჩვენი მიზნები კი კეთილშობილური და ჰუმანურია — სამშობლოს აყვავება, ყველა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობა და ბედნიერება.

სკკპ ცკ-ის მიმართვიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 იანვარი შაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 4 (15825)

ახალი სასახელო საქმეებით გავახაროთ სამშობლო

წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის სოციალისტური ვალდებულებანი

უდიდესი კმაყოფილებით, სიხარულით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. მიმართვაში მოცემულია საბჭოთა ხალხის გმირული საქმეების მკაფიო სურათი, ხალხისა, რომელმაც 1973 წელს შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მიმართვაში ჩვენი პარტია მოუწოდებს მშრომელებს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ სოციალისტურ შეჯიბრებაში შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელები ხუთწლედის მეოთხე წელს აღნიშნავენ ახალი წარმატებებით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ჩვენმა კოლმეურნეობამ 1972 წელს ინიციატივა გამოიჩინა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის რესპუბლიკაში სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში და პირნათლად შეასრულა ნაკისრი გადიდებული ვალდებულებანი. მეცხოველეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის კოლმეურნეობა დაჯილდოდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით. შარშან შარცვლეულისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის გაშლილ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების გამო კოლმეურნეობა კვლავ დაჯილდოდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით.

ჩვენი შრომის მაღალი შეფასება ბევრ რამეს გვავალებს. უნდა განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებანი და გავამრავლოთ ისინი ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს. ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი, გამოვძებნეთ რეზერვები და გადავწყვიტეთ კიდევ უფრო ავამაღლოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა და ვიმუშაოთ დღევიზით — ყოველდღიურად თვითეულ ძროხაზე მივიღოთ ნახევარი კილოგრამით მეტი რძე, ვიღრე ყოველდღე ვიღებდით 1973 წელს, საშუალო წველადობა ავიყვანოთ 3.310 კილოგრამამდე ნაცვლად გასული წლის 3.127 კილოგრამისა.

ამისათვის ჩვენს კოლმეურნეობაში ყველა პირობაა შექმნილი. კოლმეურნეობას აქვს სხვადასხვა საკვების წლინახევრის მარაგი, მაგრამ ამას არ ვჭერდებით. საკვების საწარმოებლად ავითვისებთ 50 ჰექტარ მიწდებულ მიწებს. გაზაფხულზე ამ ფართობზე ბუჩქნარის ნაცვლად აბინდება ძრავალწლიანი ბალახები. ზედაპირულად გავაუმჯობესებთ 500 ჰექტარ საძოვრებს. უზრუნველვყოფთ 30 ჰექტარი მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების ნათესების მორწყვას. ყველა საკვები კულტურა საპირო რაოდენობით მიიღებს მინერალურ და ორგანულ სასუქებს. მოვაწყობთ ვიტამინიანი ბალახის ფქვილის წარმოებას, დავამზადებთ მეტ სენაჟს, სილოსს. ავაგებთ საკვების მოსამზადებელ საამქროს.

ყოველივე ეს, აგრეთვე შრომის ორგანიზაციის, პირუტყვის ზოოვეტერინარული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება და ამის საფუძველზე კოლმეურნეობა მატერიალური დაინტერესება საშუალებას მოგვცემს მეცხოველეობა კიდევ უფრო რენტაბელური გავხადოთ.

მტკიცედ გადავწყვიტეთ უზრუნველვყოთ სახელმწიფოსათვის რძის, ხორცის, კვერცხის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის შესრულება მიმდინარე წელს, ხოლო წლის ბოლომდე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით მიკუიდოთ სახელმწიფოს 600 ტონა ხორცი, 670 ტონა რძე, 2 მილიონი ცალი კვერცხი.

კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ფერმების ცალკეულმა ბრიგადებმა და მოწინავეებმა. მაგალითად, ხ. სულაშვილის ბრიგადამ იკისრა ვალდებულება თვითეულ ძროხაზე მიიღოს 3.600 კილოგრამი რძე, ხოლო მწველავებმა ც. ალხანაშვილმა და თ. გიგაურმა ვალდებულება იკისრეს მათზე მიმაგრებული 20 ძროხიდან თვითეულზე მიიღონ 4 ათასი კილოგრამი რძე.

მეცხოველეებს არც მემინდვრეები და მევენახეები ჩამორჩებიან. გადაწყვეტილია თვითეული ჰექტარი საშეიდგომო ნათესიდან მიიღონ სულ ცოტა 40 ცენტნერი ხორბალი, მზესუმზირას ნათესების თვითეულ ჰექტარზე — 16 ცენტნერი მზესუმზირა, თვითეულ ჰექტარ ვენახზე — 100 ცენტნერი ყურძენი. ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით ფელს სახელმწიფოს მივყიდით 5.500 ტონა მარცვლეულს, 150 ტონა მზესუმზირას, 90 ტონა ყურძენს.

მოვუწოდებთ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების მუშაკებს, სოფლის ყველა მშრომელს გაუმჯობესებენ, სოფლის ყველა მშრომელს გაუმჯობესებენ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, რაც შეიძლება მეტი მარცვლეულის, ჩაის, ყურძნის, ხილის, რძის, ხორცის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქტების მიღებისათვის.

ამისათვის მოგვიწოდებს მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია კოლმეურნეობის წევრთა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

ხალხის გულისთქმა

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, სახალხო მეურნეობის, კულტურის ყველა უბანზე გულდასმით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი, ერთსულოვნად იწონებენ მას, კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელი წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ მთელ ძალებსა და შესაძლებლობებს მოახმარენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში, ახალ შრომით გამარჯვებებს მოიპოვებენ სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

მხოლოდ დამკვრელურად!

უღრმესი კმაყოფილებით გაეცნო ... ჩვენი მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას საბჭოთა ხალხისადმი. პარტიის მოწოდებას გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით, გავამრავლოთ შრომითი მიღწევები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში — ვუპასუხებთ თავდადებული შრომით.

ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საამაყო. 1973 წელი იყო დამკვრელური შრომის წელი ჩვენი მშენებლებისათვის. წარმოების ზუსტი ორგანიზაციის, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, შინაგანი რეზერვების მობილიზაციის შედეგად მშენებლებმა ვადამდე, ნოემბრის დღესასწაულისათვის შეასრულეს საცხოვრებელი ფართობის საერსლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა. ეს დიდი გამარჯვებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენმა ტრესტმა რესპუბლიკის მთელი სანინო მშენებლობის მეოთხეჯერ შეასრულა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ტრესტის კოლექტივის მუშაობა. მაღალი ჯილდო მივიღეთ ახალი წლის წინ — ტრესტი დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით. ბევრ მშენებელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრისა და დამსახურებული მშენებლის წოდებანი. აღმავლობით მივიღეთ შემსჯელი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს გადამეტებით ჩავაბარეთ 10 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მივაღწიეთ 70 პროცენტი საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემას „ჯარგი“ შეფასებით, მივაღწიეთ მშენებლობის თვითღირებულების 50 ათასი მანეთით შემცირებას.

ახალ წელს 25 ბრიგადა სახელოვანი მშენებლის, სოციალისტური შრომის გმირის ზლობინის მეთოდით იმუშავებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალ სახლებს ვადამდე გადავცემთ საექსპლოატაციოდ, დავზოგავთ საშენ მასალას, გამოვავლენთ დამატებით შინაგან რეზერვებს.

1974 წელი იქნება პასუხსაგები და დაძაბული, იგი ხომ განმსაზღვრელი წელია. მაგრამ მშენებლები სიტყვას აძლევენ პარტიასა და ხალხს, რომ ყველა ამოცანას პირნათლად შეასრულებენ.

გ. კვიჩიძე.
„მთავართბილისმშენის“ № 14 ტრესტის მმართველი.

შთაგონებით ვუშლერებთ

მთელი ჩვენი ხალხი სიამაყისა და სიამოვნების გრძნობით ფიაფთხვავდა ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი. ცენტრალური კომიტეტი მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ხალხს მიერ გაწეულ გმირულ შრომას და იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც თავდადებული მუყაითობით იქნა მოპოვებული. მიმართვაში დამოწმებული ციფრები მჭევრმეტყველად ლაპარაკობენ იმ ისტორიულ წარმატებებზე, რომლებსაც ჩვენმა ხალხმა მიაღწია მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტ წელს. ლიტერატურისა და ხელოვნების, ჩვენი კულტურის მოღვაწენი განსაკუთრებული მადლიერებით წაიკითხავენ მიმართვის იმ ნაწილს, სადაც პარტია ესოდენ ”ქებით იხსენიებს ჩვენი ინტელიგენციის და კერძოდ შემოქმედებითი ინტელიგენციის ღვაწლს.

გასულ წელს ქართულ მწერლობას ჰქონდა გარკვეული წარმატებები. ჩვენმა მწერლობამ პირი იბრუნა მეცხრე ხუთწლედის დიდი მშენებლობებისაკენ, სხვადასხვა შემოქმედებით მივლინებებში წავიდნენ ჩვენი მოწინავე მწერლები, იწერება ლექსები, მოთხრობები, რომანები, ნარკვევები ჩვენი სოფლისა და ქალაქის საწარმოთა მოწინავეებზე.

ჩვენ უკვე გვაქვს პირველი წიგნები ლექსებისა და ნარკვევებისა, რომლებიც უმღერიან საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას. ყოველივე ეს მხოლოდ კარგი დასაწყისია და ქართული მწერლობა პირობას აძლევს პარტიასა და ხალხს, რომ დაწყებული აღმავლობა კიდევ ბევრი და უკეთესი ნაწარმოებებით იქნება აღნიშნული, რომ ქართული მწერლობა კვლავაც შთაგონებით უმღერებს შრომითს შემართებას.

გრიგოლ აბაშიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

საპროგრამო მიმართვა

წითელწყაროს რაიონი გასულ წელს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა. რაიონის მშრომელებმა ეს გამარჯვება მოიპოვეს მინდვრად, ბაღევენახებსა და მეცხოველეობის ფერმებში ენერგიული შრომით და მხოლოდ შრომით. გასულ წელს რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მარცვლისა და ყოფილის არნახული მოსავალი მიიღეს, გადამეტებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები. ამ საქმეში დიდია ზემოქმედელთა წვლილი, ჩვენ გადამეტებით შეგასრულეთ ყოველგვარი გეგმები.

ეს იყო გასულ წელს. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგვიწოდებს, რომ მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ, ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს მივიღოთ უფრო მეტი მოსავალი. ზემოქმედელი კოლმეურნეები ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპროგრამო მიმართვას დიდი მოწონებითა და ენთუზიაზმით შეხვდნენ, მზად არიან კვლავაც სანატიო წვლილი შეიტანონ დიად მიზნადასახულობათა განხორციელების საქმეში.

არსენ კობაიძე,
წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

მუშა ქალთა სახელით

კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი დიდად აფასებენ საბჭოთა ქალების შრომასა და ღვაწლს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში. ამ დაფასებისა და პატივისცემის კიდევ ერთი დადასტურებაა ის თბილი, მაღალი შეფასებანი შესრულებისათვის დამრაზმველი სიტყვები, რომლებიც საბჭოთა ქალების მიმართ არის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიისადმი, ხალხისადმი.

ამ უდიდესი დოკუმენტის გაცნობის შემდეგ მე და ჩემისთანა ადამიანებს კიდევ უფრო გვიათკეცდება ხვალინდელი დღის რწმენა, რომ ჩვენი შრომა, ყოველდღიური საქმიანობის ნაყოფი მოხმარდება მშვიდობის დიად საქმეს, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობას.

ეს ამიტომ მთელი გულით ვიწონებ, ვეხმაურები პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ამ მმართველს და მთელს ენერგიას, გამოცდილებას მოუახმარ იმ უბანს, რომელსაც ვემსახურები, კიდევ უფრო აქტიურად ჩავებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა წარმატებით შესრულდეს ხუთწლედის დავალებანი.

ჩემი საწარმოს ყველა მშრომელი ქალის სახელით მინდა განვაცხადო, რომ ყველაფერს გავაკეთებთ წლევანდელი წლის — ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებათა შესრულებისათვის.

ვ. ქემაშვილი,
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კამოლური წარმოების ქვეოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

ხუთწლედი და მეცნიერება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი აღნიშნულია ის ახალი წარმატებანი, რომლებიც მოიპოვეს მეცნიერების მუშაკებმა, საბჭოთა მეცნიერებმა.

საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა კიდევ უფრო მეტი ენერგიით, გულმოდგინედ უნდა განვავითაროთ მეცნიერება, ტექნიკა და კულტურა. უნდა მივაღწიოთ მეცნიერულ სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლებას, სახალხო მეურნეობაში უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვას.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოთვლითი ტექნიკისა და კიბერნეტიკული მეთოდების ფართოდ დანერგვას სახალხო მეურნეობაში; კერძოდ, გადაუდებელ ამოცანად დგას სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმოება. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ გამოთვლითი მათემატიკასა და გამოთვლითი ტექნიკის მუშაკთა კოლექტივებმა.

ისე უნდა ვიშრომოთ, რომ ამ დიდ საერთო-სახალხო საქმეში ჩვენი მნიშვნელოვანი წვლილიც იყოს.

დავით კვესელავა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ჯანსუღ ჩარკვიანი

დღეს პარტია ეოგვეართავს

მამულის სიყვარული
ისე აწოწინებს,
როგორც მილიონების
ერთგული სიმღერები.
არის მაძიებელი
ხალხის დიდი გონება,
რასაც დღეს მივაღწიეთ
ხალხის ოქროს ხელებით.
ახლა ჩვენი ბიჭობა
მტერსაც გაეგონება,
მიფრინავენ კოსმოსში
გაგარინის მრნები.
არის მაძიებელი
ხალხის დიდი გონება,
რასაც დღეს მივაღწიეთ
ხალხის ოქროს ხელებით.
დღეს ურღვევმა კავშირმა
შექმნა ჩვენი ქონება,
მზის სიმღერად აყღერდა
მღერა პურის მკელების.
არის მაძიებელი
ხალხის დიდი გონება,
რასაც დღეს მივაღწიეთ
ხალხის ოქროს ხელებით.
ბობოქრობდა სტიქია,
იდგნენ მთები თოვლებად,
წყალს და ზვიმას
ნატრობდნენ
დასიცხული ველები...
არის მაძიებელი
ხალხის დიდი გონება,
რასაც დღეს მივაღწიეთ
ხალხის ოქროს ხელებით.
მამულო, საყვარელო,
მკერდში ჩასაკონებლად,
მეზვრესთან და მთესველთან
მჭუხარებდნენ მწერლები.
არის მაძიებელი
ხალხის დიდი გონება,
რასაც დღეს მივაღწიეთ
ხალხის ოქროს ხელებით.
ვაშა ჭეშმარიტებას —
ვინც ეს საჭე მომართა,
ყველა მეხთატეხაში
თავზე შემოვევლებით.
ძმებო, ამხანაგებო,
დღეს პარტია მოგვმართავს,
მომავალი შენდება
ხალხის ოქროს ხელებით.

4 იანვარი, 1974 წელი.



სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ რა ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა სკკპ პირმის საოლქო კომიტეტი მშრომელთა კოლექტივების დასარაზმავად მინერალური სასუქების საწარმოთა მშენებლობისა და ამოქმედების გეგმის შესრულებისათვის.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პერმის საოლქო პარტიული ორგანიზაცია დიდ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა, რათა დარაზმოს მშრომელთა კოლექტივები მინერალური სასუქების მრეწველობის განვითარების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

პარტიის პერმის საოლქო კომიტეტი, სკკპ ბერეზნიკისა და სოლიკამსკის საქალაქო კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად განიხილავენ მინერალური სასუქების მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მშენებლობებზე შექმნილია მშენებლობისა და ამოქმედების გეგმის შესრულებისათვის.

ცენტრალური კომიტეტი მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ხალხის მიერ გაწეულ გმირულ შრომას და იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც თავდადებული მუყაითობით იქნა მოპოვებული. მიმართვაში დამოწმებული ციფრები მჭევრმეტყველად ლაპარაკობენ იმ ისტორიულ წარმატებებზე, რომლებსაც ჩვენმა ხალხმა მიაღწია მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტ წელს. ლიტერატურისა და ხელოვნების, ჩვენი კულტურის მოღვაწენი განსაკუთრებული მადლიერებით წაიკითხავენ მიმართვის იმ ნაწილს, სადაც პარტია ესოდენ ”ქებით იხსენიებს ჩვენი ინტელიგენციის და კერძოდ შემოქმედებითი ინტელიგენციის ღვაწლს.

გასულ წელს ქართულ მწერლობას ჰქონდა გარკვეული წარმატებები. ჩვენმა მწერლობამ პირი იბრუნა მეცხრე ხუთწლედის დიდი მშენებლობებისაკენ, სხვადასხვა შემოქმედებით მივლინებებში წავიდნენ ჩვენი მოწინავე მწერლები, იწერება ლექსები, მოთხრობები, რომანები, ენერგიული ნაწარმოებები ჩვენი ხალხის, ჩვენ ეპოქის, ჩვენ ადამიანთა შესახებ. ”ეს ნიშნავს, ”ეს ნიშნავს, ”ეს ნიშნავს,

პარტიის მოწოდებას საქმით ვუპასუხებთ!

— ასეთია საქართველოს მშრომელთა მრთსულოვანი გადაწყვეტილება

გუშინ შრომითი კოლექტივების მიტინგებზე

შეჯიბრების ავანგარდში

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში ჩატარდა მუშა-მოსამსახურეთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი მიმართვას.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა პროფკავშირის საქართველო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ლომაკინიძემ. პარტიასა და საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ზ. ძიძიგურამ.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: ამწყობი საამქრის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ი. ელმავლეული, სმრეწველო ელმავლების საამქროს ელექტრომონტაჟეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი გ. მეტონიძე, სატვირთო საამქროს უფროსი ო. ჯიუკაძე.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიასა და საბჭოთა ხალხისადმი და აღნიშნეს, რომ ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები ღრმა კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ, რომ ამ მიმართვაში ერთხელ კიდევ გამოვლინდა ჩვენი შობლიური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის, მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

მიმართვაში ნათლად ნაჩვენებია არა მარტო ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში მიღწეული წარმატებები, არამედ მოცემულია ეკონომიური, სოციალური და კულტურული მშენებლობის მორიგი ამოცანები ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლისათვის, განსაზღვრულია თვითეული საბჭოთა ადამიანის როლი ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგის მონაწილენი აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კოლექტივის ყველა წევრის მთელი ძალა და ენერგია მოხმარდება მიმართვაში მოყვანილი დებულებებისა და მოთხოვნების შესრულებას.

მეტინგის მონაწილეებმა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი დამკვრელურად გამოაცხადეს, ვალდებულება იკისრეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის — 25 იანვრისათვის შეასრულონ თვის გეგმა, ხოლო მიმდინარე წლის სოციალისტური ვალდებულება ერთი დღით ადრე, ვიდრე ეს იყო ნაკისრი.

კოლექტივის თვითეული წევრი მთელი მონდომებით იბრძოლებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მოსამსახურეები ყველაზე იქნებიან ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების ადრე შესრულებისათვის საყოველთაო სახალხო შეჯიბრების ავანგარდში.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგის მონაწილეთა დავალებით: ა. ბუაძე — ქარხნის დირექტორი, ზ. ძიძიგური — პარტიული კომიტეტის მდივანი, გ. ლომგაკინიძე — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, ა. ხარჩილე — კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

დაპირებას საქმე ამოვენებს

გუშინ ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში“ გაიმართა მიტინგი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიისადმი, ხალხისადმი მიმართვას მიეძღვნა. მიტინგი გახსნა ფაბრიკის დირექტორმა გ. ჯანაშიამ. ინფორმაციი გამოვიდა საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანი გ. გელეიშვილი.

მან თქვა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი უდიდეს მნიშვნელობის დოკუმენტია, თვითეული ჩვენგანის სამოქმედო პროგრამაა. მუშაობის პრაქტიკიდან კარგად ვიცით, რომ წლის დასაწყისში დაშვებული ჩამორჩენის გამოსწორება შემდგომ ძალიან გვიჭირს. მიმართვაში საგანგებო სწორად არის მინიშნებული, რომ „თუ ხვალ დღეანდელზე უკეთ ვიმუშავებთ, გეგმებს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულებთ. აწყობილი და შეთანხმებული მუშაობა, წლის პირველ დღეებიდანვე ცვლის, თვისა და კვარტალის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება კანონი უნდა გახდეს ყოველი კოლექტივისათვის, თვითეული მუშაკისათვის“.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ხუთწლედის მესამე წელს ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა დასძლია ჩამორჩენა და ახალი წარმატება მოიპოვა. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 27 დეკემბრისათვის შეასრულეთ, რაც მთავარია მკვეთრად გავუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი. გეგმასთან შედარებით პირველი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვება 1,5 პროცენტით, ხოლო 1972 წელთან შედარებით 6 პროცენტით გაზარდეთ. პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე მეტყველებს ისიც, რომ მარტო თბილისში გაიყიდა 7 მილიონი მანეთის ფეხსაცმელი, რაც გეგმას ნახევარი მილიონი მანეთით სჭარბობს. ეს კარგი და მისასალმებელია, მაგრამ მიღწეულს ვერ დავჯერდებით. წინ დიდი ამოცანებია დასახული. აქედანვე უნდა შეექმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეასრულოთ 1974 წლის დავალება და ამით მტკიცე საფუძველი შეექმნათ ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სიტყვით გამოსულმა მთავარმა ინჟინერმა რ. ბერძენიშვილმა, № 2 საამქროს გადამშიმაგმა გ. არსოშვილმა, № 1 საამქროს უფროსის მოადგილემ გ. მაისაშვილმა, № 4 საამქროს მუშამ კ. საროიანმა, № 3 საამქროს უფროსმა მ. კვირიკაშვილმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ საწარმოში არის რეზერვები, რომელთა ამოქმედებით შეეძლებთ გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვოთ, ვიდრე ხუთწლეულის მესამე წელს მიგაღწიეთ. ეს რეზერვები უპირველეს ყოვლისა არის შრომის დისციპლინის განმტკიცება, გაცდენების აღკვეთა, პასუხისმგებლობის ამაღლება.

მიტინგის მონაწილეებმა გადახედეს მიღებულ შემხვედრ გეგმებს და ერთსულოვნად გადაწყვიტეს: **გეგმის გადამეტებით მოახდინონ 450 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, დაზოგილი მასალით გამოუშვან 50 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გაადიდონ ერთი პროცენტით, რაც საწარმოს 15 ათასი მანეთის მოგებას მისცემს, გამოშვებული ფეხსაცმლის თვითღირებულების შემცირებით მიიღონ 65 ათასი მანეთი ეკონომია.**

მეფეხსაცმელეებმა წარმატებით დაიწყეს ახალი სამეოთხედი წელი. გეგმას ასრულებს ყველა საამქრო და ბრიგადა, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ **იანვრის გეგმა 25 იანვრისათვის შეასრულონ და ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციას.**

კერამიკოსები ახალ რეზერვებს ეძებენ

თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივმა 1973 წლის დავალებები 20 ნოემბრისათვის დაანაღდა. გეგმის გადამეტებით 62 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილა, 19 ათასი ცალი სამშენებლო კერამიკის ნაწარმი და 75 ათასი მანეთის კულტსაყოფაცოვრებო დანიშნულების საქონელი გამოუშვა. წარმოების მოცულობა წინა წელთან შედარებით 12,7 პროცენტით გაიზარდა.

ეს მნიშვნელოვანი წარმატებები იმით მოვიპოვეთ, რომ უფრო ორგანიზებულად მოვაწყეთ სოციალისტური შეჯიბრება, ავამაღლეთ თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა, განვამტკიცეთ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გაღრმავებით ძალიან ბევრის გაკეთება შეიძლება. გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 12 პროცენტით ავამაღლეთ.

როგორც ყოველთვის, შრომის მოწინავენი არიან კომუნისტები: ვ. ხარატიძე, მ. ჩიგოტაშვილი, ი. მელოდაშვილი, უ. არჩვაძე, ო. ლოლაძე, მ. ციბულსკი, ვ. ქასოიანი, რომლებიც პირად მაგალითს უჩვენებენ ახალი ზღუდეების აღებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

მიღწეული ზღვარი როდია. არის რეზერვები ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

ჩვენი კოლექტივი ყოველდღიურად იბრძვის იმისათვის, რომ შექმნას ყველა პირობა ხუთწლედის მეოთხე წლის დაძაბული გეგმების შესრულებისათვის. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ვშრომობთ დევიზით: **დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს.**

ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში მივიღეთ გადიდებული შემხვედრი გეგმა და გავითვალისწინეთ, რომ 1974 წელს გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

გუშინ კომბინატში გაიმართა მიტინგი, სადაც გულთამამით განვიხილეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

მიტინგზე ინფორმაცია გააკეთა კომბინატის დირექტორმა გ. ბუცხრიკიძემ. მან აღნიშნა, რომ თამამად შეგვიძლია შეეხვედრი გეგმა გავადიდოთ. კიდევ უნდა გადავხედოთ წარმოების შიდა რეზერვებს, გამოვნახოთ დამატებითი შესაძლებლობანი პროდუქციის გადიდებისათვის. ყველაფერი ეს უნდა გავაკეთოთ შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით.

მიტინგზე გამოსულმა სამხატვრო საამქროს უფროსმა მ. წიკლაურმა, მასის მოსამზადებელი საამქროს მოწინავე მუშამ ვ. ხარატიძემ ერთსულოვნად მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის მიმართვა და წამოაყენეს წინადადებები დამატებითი ვალდებულებების აღების შესახებ.

მიტინგმა ერთსულოვნად გადაწყვიტა: **შემხვედრ გეგმას, რომელიც გეგმის გადამეტებით 200 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს, დამატოს კიდევ 50 ათასი მანეთი, ე. ი. წლიური გეგმის გადამეტებით კერამიკოსები 250 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ მიმდინარე წლის გადიდებული დავალების შესრულების საქმეში.**

შ. ცხვარაძე,

თბილისის კერამიკული კომბინატის პარტორგანიზაციის მდივანი.

ДІДІ შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, ხალხისადმი. ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს გულთამამით ეცნობიან თბილისის კერამიკული კომბინატის მუშა-მოსამსახურეები და პირობას იძლევიან მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელ წელს ახალი წარმატებანი მოიპოვონ. ამ სურათზე თქვენ ხედავთ კომბინატის მოწინავე ადამიანებს (მარცხნიდან მარჯვნივ) — მეწისქვილე ა. ბაბუას, ოპერატორ ვ. ხარატიძეს, ინსტრუქტორ-მეთოდისტს ლ. ლომგაკინიძეს, მომჭიქურებლებს ნ. ელგანდაშვილს და ლ. ლეკიშვილს, ჩამდგმელ ვ. ბეკონინას, ჩამწყობ ნ. ბოკუჩავას და ჩამდგმელ ი. მელანაშვილს, რომლებიც ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას.

გ. ბოგოსიანის ფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის

(დასასრული).

სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციები, რომლებიც ბერეზნიკისა და სოლიკამსკის საწარმოთა მშენებლობაზე მუშაობენ, მიმდინარე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმას ასრულებენ 95 პროცენტის დონეზე, არ სრულდება სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის განვითარების დავალებანი.

პარტიის ბერეზნიკისა და სოლიკამსკის საქალაქო კომიტეტები, კალიუშის მრეწველობის საწარმოთა პარტიული კომიტეტები სამეურნეო სიმძლავნელთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ყურადღებას არ ამახვილებენ წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებაზე, ახალ სიმძლავრეთა სწრაფ ათვისებაზე, ტექნიკის უფრო სრულ გამოყენებაზე, მოქმედ წარმოებებში მინერალური სასუქების გამოშვების დავალებათა შესრულებაში ჩამორჩენის დაძლევაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ პერმის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა უნდა იყოს კვლავაც ჩვენს ქვეყანაში კალიუმის სასუქების წარმოების ძირითადი ბაზის შემდგომი განვითარება და ტექნიკური სრულყოფა, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა, მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების კოლექტივების მეცადინეობის კონცენტრაცია იმ მიზნით, რომ მოკლე ვადაში შეაჩქარეს ახალი სიმძლავრეთა და განსრულებელ ნედლეულის მინერალური სასუქების მრეწველობის მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია მინიმალური კაპიტალური დაბანდებებით, ამასთანავე კიდევ უფრო ამაღლდეს კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობა, უთუოდ შესრულდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი, გაუჯობესდეს სამშენებლო სამუშაოთა და საქონლის ხარისხი..

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ამ პლენუმზე ამნანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის საფუძველზე საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა კომუნისტების, კომკავშირელებისა და ყველა მშრომელის დასარაზმაგად 1974 წლის სახელმწიფო გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, მშენებლობასა და სამრეწველო წარმოებაში კიდევ უფრო მაღალი ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პერმის საოლქო პარტიულ ორგანიზაციასა და ქიმიური მრეწველობის სამინისტროს დაუსახა ამოცანა — მეათე ხუთწლედში „ურალკალიუმის“ კომბინატი წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ტექნიკური დონით წამყვან ადგილზე გამოიყვანონ მსოფლიოში.

სკკპ პერმის საოლქო კომიტეტს, პარტიის ბერეზნიკისა და სოლიკამსკის საქალაქო კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცა გააძლიერონ მუშაობა, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს სასუქების წარმოების ხუთწლიანი დავალებანი ახალ სიმძლავრეთა სწრაფად ათვისების, წარმოების რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, ბოროტლობის, მანქანებისა და მექანიზმების მოცდენათა და ავარიათა შემცირების გზით. უზრუნველყონ იმ მოწინავეთა გამოცდილების ფართო გავრცელება, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს სამთო კომბინატებისა და სხვა მანქანების წარმადობის და მუშაობის რესურსის გადიდებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ქიმიური მრეწველობის სამინისტროს შეიმუშაოს და განსორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბერეზნიკი-სოლიკამსკის რაიონში კალიუმის მარილების საბადოთა უფრო ეკონომიურ ექსპლოატაციას მადნის მოპოვების, გამდიდრებისა და ტრანსპორტირების, წყაღიდან მისი უფრო სრულად მოღების რაციონალური მეთოდების ღონერგვის, გამამდიდრებელი ფაბრიკების ნარჩენებით გამომუშავებული სიგრცის ამოსვლების მუშაობის დაჩქარების, წარმოების ნარჩენებიდან ქიმიური პროდუქტების მაქსიმალური მიღების საფუძველზე. განსორციელოს ღონისძიებანი სამინისტროს იმ საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ქვეგანაყოფთა შემდგომი განვითარებისათვის, რომლებიც პერმის ოლქშია განლაგებული, სამინისტროს გეოლოგიურ-სამარკშეიდერო სასახურისა და კალიუმის საწარმოთა განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს ევალებათ განსორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ 1975 წელს ახალი სარეკონსტრუქტო ბაზის ამოქმედებას უარალის კალიუმის მრეწველობისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ცნობად მიიღო სსრ კავშირის გზათა სამინისტროს, საგრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს ხელმძღვანელთა განცხადება, რომ განსორციელებენ ღონისძიებებს იმ რკინიგზისა და ენერგეტიკული ობიექტების აგების დადგენილ დავალებათა უთუო შესრულებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მინერალური სასუქების მრეწველობის განვითარებას ბერეზნიკსა და სოლიკამსკში.

მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს წინადადება ეძლევათ დაჩქარონ იმ კომპლექსური მოწყობილობის, მანქანების და ელექტრონ-ტექნიკური ნაწარმის დამზადება და „ურალკალიუმის“ კომბინატისათვის მიწოდება, რომლებიც საჭირო დაგეგმილ სიმძლავრეთა დროზე ამოქმედებისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის. მიიღეს ღონისძიებანი, რათა გადიდდეს კალიუმის მრეწველობისათვის მისაწოდებელი მოწყობილობის სამეფოობა და ექსპლოატაციის ვადები, აგრეთვე შეიქმნას მაღალი წარმადობის ახალი კომპლექსები მარილების სელექტიური ამოღებისათვის, დატვირთვა-მიტანის საშუალებებისათვის, სამთო გვირაბებში ხაოსის გადასაყვანი და მოწყობილობის გადასაზიდი თვითმავალი მანქანებისა და წარმოების ავტომატური მართვის სისტემებისათვის. გადაწყვეტონ სათადარიგო ნაწილებით კალიუმის მაღაროებისა და საფლოტაციო ფაბრიკების სრული უზრუნველყოფის საკითხები.

გაითვალისწინა რა, რომ პერმის ოლქში სასუქების წარმოების ზრდის ტემპის შემდგომ გაძლიერებას განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის პროგრამის წარმატებით განხორციელების საქმეში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს; სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სხვა სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით მომზადონ წინადადებანი მეათე ხუთწლედში ზემო კამის კალიუმის აუზის კომპლექსური განვითარების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

მრეწველობის მუდმივმა კომისიამ მოისმინა თავისი თავმჯდომარის დეპუტატ ი. ხვედელიანის მოხსენება რესპუბლიკის ზოგიერთ სამრეწველო საწარმოში უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის მდგომარეობის შესახებ. კომისიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის საწარმოებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას.

ამასთანავე ზოგიერთ შემოწმებულ საწარმოში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი უსაფრთხობის ტექნიკისა და შრომის დაცვის საქმეში (თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანა, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ხისდამშუშავებელი საამქრო, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის სამსხმელო საამქრო და გორის ბამბეულის კომბინატი).

* * *

მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება 1973 წლის 16 მაისის დადგენილება ქალაქ თბილისში საბინაო მშენებლობის თაობაზე. სხდომაზე აღინიშნა, რომ მშენებლობის სამინისტრომ და „მთავართბილმშენის“ სამმართველომ გარკვეული მუშაობა გასწიეს ამ დადგენილების შესრულებისათვის.

ამასთან აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისში მშენებლობის გეგმის შესრულების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, ხდება ხოლმე, როცა ცალკეული სამშენებლო ორგანიზაციები არ ასრულებენ გეგმებს, უხარისხოდ აწარმოებენ სამშენებლო სამუშაოებს. საექსპლოატაციოდ გადაცემულ ზოგიერთ საცხოვრებელ სახლში უხარისხო გადახურვის გამო ბინებში ჩადის წყალი, მორყეულია კარ-ფანჯრები და აყრილია პარკეტი; „საქმთავარმონტაჟსაეგმშენის“ სავრთო საცხოვრებელში, რომელიც საექსპლოატაციოდ გადასცეს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში (№ 10 სამშენებლო ტრესტი), დაზიანებულია კარები, მთლიანად არ არის შესრულებული ტოილეტით გათვალისწინებული სახლის გარშემო ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

* * *

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის ამხ. ზ. ჩხეიძის მოხსენება რესპუბლიკაში სატელეფონო კავშირგაბმულობის განვითარების მდგომარეობის შესახებ.

წელს ახალი სატელეფონო სადგურები აშენდა ცაგერში, გურჯაანში, ყაზბეგში, ლაგოდეხში, დიდ ჯიხაიშში, ველისციხეში, ბაკურციხეში. სოფლებში მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ 3.400 ნომერი, ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში კი — 11.800 ნომერი. განვლილი სამი წლის მანძილზე ვერ შესრულდა სატელეფონო კავშირგაბმულობის განვითარების წლიური გეგმის დავალება. სუსტად არის განვითარებული რესპუბლიკის სოფლის სატელეფონო ქსელი, განსაკუთრებით კომეურნეობებში.

სერიოზული ტექნიკური ნაკლოვანებებია თბილისის სატელეფონო ქსელის მუშაობაში. კავშირგაბმულობის ორგანოები უზრუნველყოფილი არ არიან სპეციალისტებით.

* * *

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივმა კომისიამ განიხილა საკითხი ახალციხის, გეგეჭკორისა და ცხაკაიას რაიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

ახალციხის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამართველომ ვერ უზრუნველყო 1972 წლის და მიმდინარე წლის 10 თვის საწარმოო-ფინანსური გეგმების შესრულება, გეგეჭკორისა და ცხაკაიას რაიონებში კი არ შესრულებულა მიმდინარე წლის 10 თვის გეგმები.

აღნიშნულ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ობიექტების სპეციალიზაცია და მათი გამსხვილება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების უმრავლესობა შესაბამის შენობებში არ არის მოთავსებული. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები ცუდად არიან აღჭურვილი მექანიზმებით, დანადგარებით, ტექნოლოგიური მოწყობილობითა და ინსტრუმენტებით. შემოწმებულ ობიექტებზე სათანადო დონეზე არ დგას საწარმოო და შრომის დისციპლინა.

აღნიშნული რაიონების საბჭოების აღმასკომები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები სუსტად მონაწილეობენ სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გაფართოებაში, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში. ახალციხის რაიონის 49 სოფლიდან 36 სოფელში დღესაც არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების არცერთი ობიექტი. ანალოგიური მდგომარეობაა გეგეჭკორის რაიონის ნახუნაოსა და ცხაკაიას რაიონის სოფელ ჭალადიდში.

* * *

სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივმა კომისიამ მოისმინა თავისი თავმჯდომარის დეპუტატ ი. ბუაჩიძის მოხსენება რესპუბლიკაში საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადების მდგომარეობის შესახებ.

კომისიამ აღინიშნა, რომ საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადებაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. სპეციალისტთა მომზადების ხარისხი ჩამორჩება წარმოების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის თანამედროვე დონის მოთხოვნებს.

ნაკლოვანებანია საჭირო მოწყობილობით, მანქანებით, კაბინეტებითა და ლაბორატორიებით ტექნიკუმებისა და სპეციალური სასწავლებლების უზრუნველყოფის საქმეშიც. ამ ტიპის სასწავლებლებთა მხოლოდ 30-35 პროცენტია უზრუნველყოფილი ლაბორატორიებით (მაგალითად. თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმებში უნდა იყოს 36 ლაბორატორია, ფაქტიურად კი თოთხმეტია).

სისტემატურად არ სრულდება ტექნიკუმების შენობების აგების გეგმები. დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული სახელმძღვანელოებით, განსაკუთრებით ქართული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმე.

* * *

ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივმა კომისიამ განიხილა სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებისა და მათი გამოყენების მდგომარეობა. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში სათანადო ყურადღება ექცევა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მიერ გამოშვებული სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტების გამოყენებას.

კომისიამ აღნიშნა, რომ ზოგიერთ რაიონში სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტების მოწყობის საქმეში არის ნაკლოვანებები. ბოლნისის რაიონში. 1971-1973 წლებში განაწილებული იყო 15 უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი, აქედან მუშაობა დაიწყო მხოლოდ ორმა; საშუალო სპეციალური განათლების მქონე 105 სპეციალისტიდან მუშაობა დაიწყო ცხრამ. ანალოგიური მდგომარეობაა თეთრი წყაროს, ადიგენის, ლაგოდეხის, სიღნაღის და სხვა რაიონებში. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ნაწილს დაბალი კვალიფიკაცია აქვს.

კომისიის ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ვასაძის მოხსენება ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისა და პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუჯობესდა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისა და მათი სწორი პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობა.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შრომით საქმიანობაში ჩაბმისა და მათი სწორი პროფესიული ორიენტაციის საქმეში ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. შემოწმებით გამოვლინდა, რომ ჯერ კიდევ დიდია იმ ახალგაზრდათა რიცხვი, რომლებიც ჩაბმული არ არიან შრომით საქმიანობაში. განსაკუთრებით მაღალია შრომაში დაუსაქმებელ კურსდამთავრებულთა პროცენტი სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, ბორჯომში, ცხინვალში, ზუგდიდში, წულუკიძეში, დუშეთში, რუსთავში, თბილისის 26 კომისრის რაიონში. ნაკლოვანებებია მთელი რიგი რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან შექმნილი შრომითი მოწყობისა და საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების საქმიანობაში.

ზოგ წარმოებაში მოსული ახალგაზრდების მიმართ არ იჩენენ სათანადო გულისხმიერებას. არ უქმნიან მათ მუშაობის ნორმალურ პირობებს, წარმოებაში მისვლისთანავე იყენებენ მძიმე, ფიზიკურ სამუშაოზე დამხმარე მუშებად, ამუშავებენ მე-2 და მე-3 ცვლებში. ნაკლებად ზრუნავენ მათი ზოგადი განათლებისა და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

* * *

კულტურის მუდმივმა კომისიამ მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ ნ. დუმბაძის მოხსენება რესპუბლიკაში წიგნით ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ გარკვეული ყურადღება ექცევა წიგნით ვაჭრობის შემდგომი გაფართოების საქმეს. შენდება ახალი მაღაზიები, მიმდინარეობს არსებულის შეკეთება, გაუმჯობესდა წიგნის რეკლამა და სხვა.

გადაჭარბებით სრულდება წიგნით ვაჭრობის მიმდინარე წლის გეგმები.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ წიგნის მაღაზიებისა და კიოსკების ქსელის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

სათანადოდ არ სრულდება ზამდგომი ორგანოების დადგენილებანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების (სასტუმროები, კინოთეატრები, დიდი სამშენებლო საწარმოები და დაწესებულებები) მშენებლობის დროს წიგნის მაღაზიებისა და კიოსკების შენობათა გათვალისწინების შესახებ (თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი). მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები ჯეროვნად არ ზრუნავენ ამ ობიექტებისათვის შენობების გამოსაყოფად. წლების მანძილზე ჭიანურდება წიგნის მაღაზიების ასაშენებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხი აბაშაში, მცხეთაში, თეთრ წყაროში, ხობში და ყაზბეგში. წიგნის კიოსკების გაჩენა დარჩენილი მრავალი სოფელი, საბჭოთა მეურნეობა და საკურორტო დასახლება (ჯავის, ხობის, გულრიფშის, ახმეტის, ბორჯომის, ლაგოდეხის, მცხეთის რაიონები). წიგნის არც ერთი მაღაზია არაა ქ. თბილისის საწზონისა და ფოლადთუჯსამსხმელო დასახლებებში.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები იშვიათად იხილავენ წიგნის საკაჭრო ოპერატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მათი მუშაობის მდგომარეობის საკითხებს.

კულტურის მუდმივმა კომისიამ ამავე სხდომაზე განიხილა რესპუბლიკაში კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის საკითხი.

კომისიაზე აღინიშნა, რომ ძეგლთა დაცვის საქმეში სერიოზული ღონისძიებები ტარდება. აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები შესრულდა ბევრ ძეგლზე (სვეტიცხოველი, ბოლნისის სიონი, ბიჭვინთის ტაძარი, კვეტერის ანსამბლი, ოზაანის მონასტერი და სხვა).

მსოფლიო დღეს

ამბები • ფაქტები • პრობლემები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლება ჩილელ პატრიოტებს!

სტოკჰოლმი. გაზეთმა „ნორშენსფოლმანნმა“ მოუწოდა შვეციის მშრომელებს განამტკიცონ სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ ჩილელი ხალხის ბრძოლისადმი სოლიდარობა.

ჩილეში, წერს გაზეთი, ყოველდღიურად მხეცურად უსწორდებიან პოლიტიკურ პატიმრებს. მათ ხვრეტენ ვითომდა „გაქცევის ცდის დროს“, როცა სასატიმროდან სასატიმროში გადაჰყავთ. იზრდება საკონცენტრაციო ბანაკების რიცხვი.

მეხიკო. ჩილეს მხედრიონის მიერ მოკლული ჩილეს კონსტიტუციური პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ქვრივმა ორტენსია ბუსი დე ალიენდემ აქ გავრცელებულ საახალწლო მიმართვაში ათასობით ჩილელი ქვრივის, ობლების სახელით, ყველა იმათ სახელით, ვისაც სამხედრო ხუნტა ბარბაროსულად აწამებს, საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ამწყვდევს, მოუწოდა ყველა ხალხს გამოვიდნენ ჩილელი ხალხის დასაცავად.

ბრატისლავა. ხლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში გრძელდება საპროტესტო მიტინგები ჩილეში ფაშისტური ხუნტის მხეცობის წინააღმდეგ.

„ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ჩილელი ხალხის გმირის შვილი ლუის კორვალანი და ყველა პატრიოტი, რომლებიც ხუნტის ჯურღმულებში იტანჯებიან, შეწყვიტონ რეპრესიები სახალხო ერთიანობის მომხრეთა წინააღმდეგ, ჩილეს ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის წინააღმდეგ! თავისუფლებასა და დემოკრატიას ვერ ჩაახშობენ!“ — ნათქვამია დასავლეთ სლოვაკიის ოლქის სოფელ კოზელნიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა საპროტესტო რეზოლუციაში.

პარიზი. „გადავარჩინოთ ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვა ჩილელი პატრიოტები!“ — ასეთი დევიზით მიმდინარეობს საფრანგეთში სამხედრო ხუნტის სისხლიანი ტერორის წინააღმდეგ ამ ქვეყნის ხალხის ბრძოლისადმი სოლიდარობის ფართო კამპანია. ჩილელი პატრიოტებისადმი სოლიდარობის ეროვნული კომიტეტი, ორგანიზაცია „სახალხო დახმარების ფრანგთა საზოგადოება“ აგროვებენ ხახრებს ჩილეს პატრიოტებისათვის დახმარების გასაწევად.

დეკემბრის დამლევს პარიზში წიგნის მაღაზია „კლარტეში“ მოეწყო გამოფენა ჩილეს შესახებ. ამ გამოფენაზე წიგნების, პლაკატების, ფირფიტების გაყიდვით მიღებული მთელი შემოსავალი ჩილესადმი სოლიდარობის ფონდში გადაირიცხება. 25 ათასი ფრანკი მოვიდა ამ დღეებში ფოტოთა ქალაქ დიეპის მუნიციპალური საბჭოსაგან ჩილელი პატრიოტებისადმი სოლიდარობის ეროვნულ კომიტეტში.

ბონი. ფულადი სახსრების შეგროვება ჩილელი დემოკრატებისადმი სოლიდარობის ფონდში, რომლებიც სამხედრო ხუნტის დევნას განიცდიან, — ერთ-ერთი ფორმაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიული საზოგადოებრიობის პროტესტისა ხუნტის ტერორის წინააღმდეგ. 10.000-ზე მეტი მარკა შეაგროვა ჰამბურგის მცხოვრებლებს შორის სტუდენტთა კავშირის „სპარტაკის“ ადგილობრივმა ორგანიზაციამ. საარის მხარის მხატვართა, გრაფიკოსთა და ფოტოგრაფთა ჯგუფმა ჩილეს ხალხისადმი სოლიდარობის საარის კომიტეტთან ერთად მოაწყო თავისი ნაწარმოებების გამოფენა-გაყიდვა და მიღებული ფული — 5.000-ზე მეტი მარკა — სოლიდარობის ფონდში გადასცა. (საკდესი, 4 იანვარი).

მადრიდი

შეიცვალა მოთავრობის შეკადგენლობა

ვაშინგტონი

მეელიან უმუშევრობის სწრაფ ზრდას

დავა ფასადის მიღმა

საზღვარგარეთის პრესა ჩინეთის არმიაში გადაადგილებათა შესახებ

უცხოეთის პრესა ფართოდ განმარტავს ჩინეთის ხელმძღვანელობაში მორიგ გადაადგილებებს, რომლებიც ამჯერად მოხდა ჩინეთის არმიის უმაღლეს სარდლობაში. გადაადგილება შეეხო ჩინეთის დიდი სამხედრო ოლქების უმრავლესობას. პოლიტიკური მიმომხილველები ერთი აზრისანი არიან იმ საკითხში, რომ ეს გადაადგილებანი ასახავენ გაჯანურებულ ბრძოლას ძალაუფლებისათვის ჩინეთის ხელმძღვანელობაში. ამასთან დაკავშირებით ამერიკული „ნიუიორკ ტაიმსი“ იმოწმებს ჩინეთის კომპარტიის მე-10 ყრილობას და წერს, რომ მას, როგორც ჩინეთის ხელმძღვანელობა ამტკიცებს, უნდა დაეფასტურებინა „ხალხის ერთიანობა“, მაგრამ ახლა, წერს გაზეთი, ნათელი გახდა, რომ ამ ყრილობამ მხოლოდ მოამზადა ჩინეთის იერარქიულ ზედაფენაში პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის შემდგომი უფრო გაფფორებული ბრძოლის პირობები.

სარდლობის ახალი ფართო გადაადგილება, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო თავის ცნობაში, — ეს არის მაო ძე-დუნის მიერ გაშლილი კამპანიის მეორე ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავს დათრგუნოს ლინ ბიაოს მომხრენი, რადგან პირველი ნაბიჯი, რომელიც ჩინეთის კომპარტიის მეათე ყრილობაზე გადაიდგა, როგორც ჩანს, ვერ დამთავრდა წარმატებით, ყოველ შემთხვევაში არმიის რიგებში მაინც.

პრესაში გამოთქვამენ აზრს, რომ ბრძოლა ძალაუფლებისათვის ამჟამად წარმოუფს ეგრეთწოდებულ „მემარცხენეებს“, რომლებიც „კულტურულ რევოლუციას“ ახორციელებენ, და „პრაგმატიკოსებს“ შორის. ზოგიერთი გაზეთი ამ წინადადებებს უკავშირებს ჩინეთის პრესაში წარმოებულ კონფუციანობის კრიტიკას. ახლანდელ პირობებში „მემარცხენეთა“ წარმომადგენლები კონფუციანელებად ნათლავენ „პრაგმატიკოსთა“ მოქმედებას, რომლებსაც სურთ სტაბილური გახადონ ეკონომიკა, მოაგვარონ სწავლის ნორმალური პროცესები და სხვ.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ სტატიაში „ჩინეთის მდგომარეობის შესახებ“ წერს, რომ კონფუციანობის შესახებ დაწყებული კამათი ახსომებს იმ სიგნალებს ჩინეთის ხელმძღვანელობაში, რომლებიც მოწმობენ ქვეყნის ნამდვილ პრობლემებს. მათ გაზეთი მიაკუთვნებს, კერძოდ, გაყინვას ეკონომიკაში, ცხოვრების დაბალ დონეს, მრეწველობის მოდერნიზაციის საჭიროებას. ამასვე მოწმობს ფრანგული პრესაც, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ანტიკონფუციანური კამპანია მიმართულია „პრაგმატიკოსთა“ წინააღმდეგ.

საზღვარგარეთის ბევრი მეთვალყურე ყურადღებას უთმობს იმას, რომ სამხედრო სარდლობაში ახლა გადაადგილებულ პირთაგან ზოგიერთი გაკარტიკეს „კულტურული რევოლუციის“ დროს, მაგრამ მაშინ არ გადაუყენებიათ თავიანთი პოსტებიდან. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს ჩინეთის ხელმძღვანელობაში არსებულ უჭვიანობის ატმოსფეროს და წერს, რომ ახალ პოსტებზე ჩინეთის უმაღლეს ოფიცრებს, რომლებიც „საეჭვო ხალხი არიან“ მეტწილ შემთხვევებში მიმაგრებული ჰყავთ „ძველი მაოისტები“.

გაზეთი „ფიგარო“ გამოთქვამს აზრს, რომ გადაადგილებანი ჩინეთის არმიის სარდლობაში მიზნად ისახავენ „წაგლეჯონ საუფლისწულო მამულები იმ სამხედროებს, რომელთა ძალაუფლება გაიზარდა „კულტურულ რევოლუციაში“ არმიის ჩარევის შედეგად“. მეორე ფრანგული გაზეთი „ეკო“ სარედაქციო სტატიაში წერს: „იქმნება შთაბეჭდილება, რომ გარე ფასადის მიღმა დავა „კულტურული რევოლუციის“ შესახებ ჩინეთის ხელმძღვანელობაში სრულიადაც არ არის ამოწურული“. უცხოეთის საინფორმაციო საagენტოები აღნიშნავენ, რომ გადაადგილებანი ჩინეთის არმიის სარდლობაში ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა მერყევი მდგომარეობაა პეკინის მმართველ ზედაფენაში. (საკდესი, 3 იანვარი).

ინგლისი

მთავრობის კანონის წინააღმდეგ

საკდესის ფოტო.

სულ უფრო მძლავრად გაისმის ინგლისელ მშრომელთა პროტესტის ხმა „საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დაფინანსების შესახებ“ კანონის წინააღმდეგ. ამ კანონით საბრძოლველად გაიზრდება ბინის ქირა და შემცირდება მუნიციპალური საბინაო მშენებლობა. კიდევ უფრო გაღრმავდება ბინების კრიზისი სახელმწიფოში, სადაც უკვე ახლა 100 ათასზე მეტი უსახლკარია და მილიონობით ადამიანი საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებს.

სურათზე: ლონდონის მცხოვრებლები პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ ქალაქის ხელისუფლები უარს ამბობენ უბინაოთათვის მუნიციპალიტეტის კუთვნილ სახლებში იმ ბინების მიცემაზე, რომლებიც ამჟამად ცარიელია.

ინგლისი

ოლსტერი: დაძაბული ვითარება

ლონდონი, 3 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ი. სოონიცინი იუწყება:

ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქიდან მოდის ცნობები, რომ თოლსტერში ქვლავ დაძაბული ვითარებაა.

პროტესტანტი ექსტრემისტების პროვოკაციების შედეგად და ინგლისელ ჯარისკაცთა ტყვეთ ჩრდილოეთ ირლანდიაში მეილვარების დაწყებიდან უკვე 900-ზე მეტი ირლანდიელი დაიღუპა. ახალი წელი ულტრამემარჯვენეთა ტერორისტული აქტების მორიგი ტალღით აღინიშნა. იანვრის პირველ ორ დღეს დაიღუპა სამი და დაიჭრა 15 ირლანდიელი.

ახალი წლის დამდეგს რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და უნიშროების სამსახურის თანამშრომლები შეიჭრნენ ჩრდილოეთ ირლანდიის მოქალაქეობრივ უფლებათა დაცვის ასოციაციის შტაბ-ბინაში და ლონგ კეშის საკონცენტრაციო ბანაკის ტუალეტებზე გადაღებული ფილმის ძებნაში მთელი შენობა დაარბიეს. ინგლისის პრესის მონაცემებით, ამ საკონცენტრაციო ბანაკში 600-ზე მეტი ირლანდიელია დატყვევებული.

ირლანდიის კომუნისტური პარტია მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ინტერნირებული პირნი, დაითხოვონ „საგანგებო სასამართლოები“, გაუქმონ რეპრესიული კანონები, გაიყვანონ ინგლისის ჯარები ოლსტერიდან, მიიღონ ჩრდილოეთ ირლანდიის მთელი მოსახლეობის თანასწორუფლებიანობის კანონი.

ფასები კვლავ მატულობს

ვაშინგტონი, 4 იანვარი. (საკდესი). ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ფასების ახალი მომატებით აღინიშნა 1974 წლის დასაწყისი ამერიკის შეერთებულ შტატებში. 5,8 პროცენტით გაზარდა ბენზინის საბითუმო ფასი „ამერიკენ ოილ კომპანიამ“. ნავთობპროდუქტების ფასები გაადიდეს „სტანდარდ ოილ კომპანი ოფ ოგაიომ“ და „ამოკო ოილმა“. გაძვირდა აგრეთვე საობიანი ნავთობი, რომელიც ქვეყნის უმეტეს რაიონში საობობის ერთადერთი სახეობაა საცხოვრებელი შენობების გასათბობად.

ახალი კონსტიტუცია

რანგუნი, 4 იანვარი. (საკდესი). ბირმის კავშირის რევოლუციურმა საბჭომ გამოსცა დადგენილება ბირმის კავშირის სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ.

როგორც აღნიშნულია დადგენილებაში, კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მოიწონა ეროვნული რეფერენდუმის მონაწილეთა უმეტესობამ (ამომრჩეველთა 90,19 პროცენტმა ხმა მისცა მის მიღებას), 3 იანვრიდან გახდა სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

მაქმე ახალი წელი

ვაშინგტონი, 4 იანვარი. (საკდესი). ამერიკელები ახალ, 1974 წელს შეხვდნენ იმის მოლოდინით, რომ კიდევ უფრო გამწვავდება სოციალურ-ეკონომიური პრობლემები, მოიმატებს სიძვირე და უმუშევრობა. ამას მოწმობენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც გელაპის ინსტიტუტმა მოაწყო.

„პრაქტიკულად ყველა ამერიკელის აზრით, ახალი წელი განსაკუთრებით მძიმე იქნება, — ნათქვამია ინსტიტუტის მოხსენებაში. — ეკონომიური პერსპექტივები ახალი წლის დამდეგს ნაკლებ საიმედოა, ვიდრე ოდესმე ყოფილა მრავალი წლის მანძილზე. გამოკითხულთა 85 პროცენტმა აღნიშნა, რომ მოელიან ეკონომიური პრობლემების მკვეთრ გამწვავებას. 84 პროცენტი წინასწარმეტყველებს უმუშევრობის შემდგომ ზრდას. როგორც აღნიშნულია მოხსენებაში, არასოდეს არ ყოფილა, რომ ასე ბევრ ამერიკელს ესოდენ პესიმისტური შეხედულებანი გამოეთქვის ახალი წლის პერსპექტივებზე.

ოტაკიო. ჩილეს ხალხისადმი სოლიდარობის ფონდში ერთ-ერთ ფორმად ერეკ ალიენდეს ქვრივმა ორტენსია ბუსი დე ალიენდემ აქ გავრცელებულ საახალწლო მიმართვაში ათასობით ჩილელი ქვრივის, ობლების სახელით, ყველა იმათ სახელით, ვისაც სამხედრო ხუნტა ბარბაროსულად აწამებს, საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ამწყვდევს, მოუწოდა ყველა ხალხს გამოვიდნენ ჩილელი ხალხის დასაცავად.

ბრატისლავა. ხლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში გრძელდება საპროტესტო მიტინგები ჩილეში ფაშისტური ხუნტის მხეცობის წინააღმდეგ.

„ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ჩილელი ხა-

ოლსტერი: დაძაბული ვითარება

ლონდონი, 3 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ი. სოონიცინი ეუწყება:

ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქიდან მოდის ცნობები, რომ თოლსტერში ქვლავ დაძაბული ვითარებაა.

პროტესტანტი ექსტრემისტების პროვოკაციების შედეგად და ინგლისელ ჯარისკაცთა ტყვეთ ჩრდილოეთ ირლანდიაში მეილვარების დაწყებიდან უკვე 900-ზე მეტი ირლანდიელი დაიღუპა. ახალი წელი ულტრამემარჯვენეთა ტერორისტული აქტების მორიგი ტალღით აღინიშნა. იანვრის პირველ ორ დღეს დაიღუპა სამი და დაიჭრა 15 ირლანდიელი.

ახალი წლის დამდეგს რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და უნიშროების სამსახურის თანამშრომლები შეიჭრნენ ჩრდილოეთ ირლანდიის მოქალაქეობრივ უფლებათა დაცვის ასოციაციის შტაბ-ბინაში და ლონგ კეშის საკონცენტრაციო ბანაკის ტუალეტებზე გადაღებული ფილმის ძებნაში მთელი შენობა დაარბიეს. ინგლისის პრესის მონაცემებით, ამ საკონცენტრაციო ბანაკში 600-ზე მეტი ირლანდიელია დატყვევებული.

ირლანდიის კომუნისტური პარტია მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ინტერნირებული პირნი, დაითხოვონ „საგანგებო სასამართლოები“, გაუქმონ რეპრესიული კანონები, გაიყვანონ ინგლისის ჯარები ოლსტერიდან, მიიღონ ჩრდილოეთ ირლანდიის მთელი მოსახლეობის თანასწორუფლებიანობის კანონი.

... ბელგია

ბრიუსელი, 4 იანვარი. (საკდესი). ... ბელგიის ... ეროვნული ... ბელგიის ... ეროვნული ... ბელგიის ... ეროვნული

ჩვენი ინტერვიუ

კომეტა გვიახლოვდება

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა კომეტა „კოჰოუტეკი“ ჩვენს პლანეტურ სისტემაში სამყაროს შორეული სივრცეებიდან შემოიჭრა. იგი შარშან, მარტში აღმოჩინეს. კომეტა დეკემბრის მიწურულს მინიმალური მანძილით მიუახლოვდა მზეს. იანვრის პირველ ნახევარში კი მინიმალური მანძილით ჩაუვლის დედამიწას. კაშკაშა კომეტის კუდი გაიჭიმება დაახლოებით 50 მილიონ კილომეტრზე.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ბ. დურგლიშვილი ეწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორს, აკადემიკოს ემზენი ხარაძეს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

— აკვირდებიან თუ არა კოჰოუტეკის კომეტას ასასთუმნის ობსერვატორიაში?

— დიახ, კოჰოუტეკის კომეტა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაკვირვება-შესწავლის ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს ამჟამად. პირველად კომეტა შენიშნეულ იქნა ჩვენთან ჯერ კიდევ 27 ოქტომბრის ღამეს და იმ ღამის, დაკვირვება ერთ-ერთი პირველთაგანი იყო საბჭოთა ობსერვატორიებისათვის. მანამდე კომეტა ცის სამხრეთ ნახევარსფეროზე მოძრაობდა და ჩვენი განედის ობსერვატორიებისათვის უხილავი რჩებოდა. მას შემდეგ დაკვირვება ყოველ მოწმენდილ ღამეს წარმოებდა. როცა გამბობ: „დაკვირვება წარმოებდა“, როდი გგულისხმობ თვალით უბრალოდ ცქერას, არამედ კომეტის მოძრაობის, მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებების გამოკვლევას სხვადასხვა მეთოდებით. ასე, მაგალითად, ი. ბეიტრიშვილმა მიიღო კომეტის სპექტრის საინტერესო ფოტოგრაფიები, რომლებზეც აშკარად ჩანს მოლეკულური ზოლები იმ ნივთიერებებისა, რომლებიც სჭარბობს კომეტაში. კომეტის შედგენილობისათვის დამახასიათებელია ციანი, ამიაკი, შეთანი და სხვა ამგვარი შენაერთები. იზომება აგრეთვე კომეტის გამოსხივების პოლარიზაცია, რომლის დანიშნულებაა კომეტაში გაზისა და მყარი კოსმოსური ნაწილაკების პროპორციის დადგენა და სხვა ფიზიკური თვისებების გამოკვლევა.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. კილაძემ განსაზღვრა კომეტის ზუსტი კოორდინატები რამდენიმე მომენტისათვის და გადასცა ასტრონომიულ ცნობათა საკავშირო ცენტრს. ასეთი განსაზღვრებით ზუსტდება კომეტის ორბიტის ელემენტები, ირკვევა კომეტის მოძრაობაზე პლანეტების გრავიტაციული ზემოქმედების ხასიათი და სხვ. კომეტის დანახვა და დაკვირვება ჯერ მხოლოდ ტელესკოპის საშუალებით შეიძლებოდა. საერთოდ, მზესთან დიდი სიახლოვის გამო კომეტა ძნელად დაიკვირვებოდა. მეტად ძნელი იყო აქამდე მისი კუდის დანახვა. თუმცა იგი უკვე ეჩნოდა ფართო, მოკლე მარაოსებრი წარმონაქმნის სახით.

ერთხანს კომეტა მოეფარა მზეს, შემოუტრიალა მას ძალიან დიდი სიჩქარით, რომელიც წამში ასამდე კილომეტრით გამოიხატება და მზის მეორე მხარეზე, უკვე დასავლეთის ცაზე, გამოჩნდება იანვრის პირველ დეკადაში. მას ყველა დავინახავთ შეუიარაღებელი თვალით საღამოს დასავლეთ ცაზე.

— წარმოებულა თუ არა აბასთუმანში დაკვირვება სხვა კაშკაშა კომეტებზე და თუ წარმოებულა, როდის?

— როგორ არა. არენდ-როლანის კომეტაზე 1957 წლის მაისში, იკეასეკის კომეტაზე 1967 წელს, ბენეტის კომეტაზე 1970 წელს. ყველა ჩამოთვლილი კომეტა კაშკაშა იყო, შეუიარაღებელი თვალით მოჩანდა. აბასთუმანში მიღებული იყო ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ო. ბოლქვაძისა და თ. ბარბალიშვილის მიერ ჩინებული ფოტოგრაფიები, რომლებიც შევიდა კომეტების საერთაშორისო იზოფოტომეტრულ ატლასში. ეს ატლასი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოქვეყნდა; მომავალში იგი კომეტების მცველავართა მრავალ თაობას მოემსახურება.

— ამჟამად სხვა ხასიათის რა მნიშვნელოვან დაკვირვებებს აწარმოებენ უანობილის მთაზე, აბასთუმნის ობსერვატორიაში?

— ბევრ მნიშვნელოვანს, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ზოგ დაკვირვებას მაინც დავასახელებ, გფიქრობ, მკითხველს დააინტერესებს. ახლახან დამთავრდა დაკვირვებათა ციკლი მარსის ბუნებრივ თანამგზავრებზე — ფობოსსა და დეიმოსზე. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები გ. სალეშვაძე და ა. ხატისოვი მთის პოზიციურ განსაზღვრას ეწვეოდნ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მარსის ბუნებრივი თანამგზავრების მოძრაობის შესწავლა ახლა, როცა მარსს ხელოვნური თანამგზავრებიც გარემოექცევიან.

დამკვირვებელთა მთელი ჯგუფი აკვირდება და შეისწავლის მოვლენათა განვითარებას მზის აქტიურ წარმონაქმნებში. ეს დაკვირვებები, გარდა იმისა, რომ დიდი თეორიული მნიშვნელობისაა, უშუალოდ ემსახურება კოსმონავტების ფრენის უსაფრთხოებას.

ჩვენი ასტრონომების თვალი უფრო შორეულ ობიექტებსაც სწვდება: ათეულ მილიონობით სინათლის წლით დაშორებულ გალაქტიკებს...



ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენაზე არიან პანტომიმის ქართველი ოსტატები

როცა ხელები მლერიან...

სურათებზე: სცენები პანტომიმის თეატრის სპექტაკლებიდან „პანტომიმური ნოველები“ (ზემოთ მარცხნივ) და „ელექტრა“; ზემოთ მარჯვნივ — წარმოდგენის შემდეგ მარსელ მარსო მსაუბრობს ქართველ მსახიობებს.

ქართული თეატრალური ცხოვრება ამ ორი წლის წინათ კიდევ ერთი საინტერესო სიახლით შეივსო — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან საფუძველი ჩაეყარა პანტომიმის თეატრს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანი ამირან შალიკაშვილი.

სრულიად ახალგაზრდა იყო ამირან შალიკაშვილი, როცა მიმოსის ხელოვნების ძალამ გაიტაცა.

1965 წელს თბილისში საგასტროლოდ იმყოფებოდა მიმის დიდოსტატი მარსელ მარსო. ამირანმა გაიცნო დიდი ხელოვანი და მას შემდეგ მიმის ოსტატი ხშირად სწერს წერილს ახალგაზრდა ქართველ კოლეგას, რომელიც წერილითვე უპასუხებს და ზორიდან ესაუბრება თავის გეგმებზე. დიდი ხელოვანის სულიერი მხარდაჭერით შთაგონებული ჭაბუკი პირადი ინიციატივით შეუდგა ჯგუფის შეკრებას. ბევრი გამოჩნდა მსურველი. თბილისის ერთ-ერთ კულტურის სახლში დაიწყო ინტენსიური მუშაობა პანტომიმის სპექტაკლის დასადგმელად. ასრულდა დიდი ხნის ოცნება. წარმოდგენასაც „ოცნება და სინამდვილე“ ერქვა, რომელსაც იმთავითვე მიიზიდა ცნობისმოყვარე მაყურებელი. დუმილის ხელოვნებამ მოლოდინს გადააჭარბა. მაგრამ მიღწეული უკვე აღარ აკმაყოფილებდა ამირანს, რკინაგზელთა კულტურის სახლში სტუდია ჩამოაყალიბა და მასში თეატრალური ინსტიტუტისა და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტები ჩააბა. დაიწყო ახალი შემოქმედებითი ცხოვრება, რომელსაც ახალი წარმატებები მოჰყვა.

პანტომიმის თვითმოქმედმა ჯგუფმა მალე გამოიცვალა მისამართი. იგი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ „იშვილა“.

ახლა პანტომიმის თეატრის ორგანყოფილებანი პროგრამა ყურადღებას იქცევს სიუჟეტური მრავალფეროვნებით. ლირიკასა და პოეზიას ენაცვლება დრამატიზმი, იუმორისტულ ნოველას — სხვადასხვა ჟანრული სურათები, მაგრამ უცვლელია მთავარი — ქართული ეროვნული ხასიათი, რაც გამოხატულებას პოულობს რიტმსა და პლასტიკაში. მსახიობთა მოძრაობა სცენაზე, მიმიკა თუ ჟესტი მეტყველი და გამომსახველია. უყურებთ წარმოდგენას და გრძნობთ, თუ რა სასწაულმქმედი ხელები, ტანი, სახე. ხელები მღერიან, ხელები ტირიან, ხელები იცინიან. მათი მოძრაობის ყოველ ნიუანსში ნათლად იკითხება სათქმელი, მაყურებლამდე ბგერის უშუამავლოდ აღწევს ადამიანის სიხარული, განცდა, მწუხარება და ოცნება.

ა. შალიკაშვილს გვერდით უდგანან მისი აღზრდილები. ეს არის მეუშმარიტად ერთსულოვანი კოლექტივი, რომელშიც თვითეულს უკვე თავისი ინდივიდუალური მიღწევებიც აქვს და ყველანი ერთად მოლიან ჰარმონიულ გამას ქმნიან სპექტაკლში.

მიუხედავად იმისა, რომ თეატრმა პოპულარობა და ავტორიტეტი მოიპოვა, ახლა მეტი სერიოზულობით მუშაობს ყოველი ნოველის დასვენასრულყოფაზე, მსახიობთა საშემსრულებლო კულტურის ამაღლებაზე.

სასიხარულოა ის, რომ ამ ბოლო დროს თეატრმა ყურადღება გაამახვილა ქართულ თემატიკაზე, ახლა ამ ხაზით იგი სერიოზულ მუშაობას ეწევა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებულ პანტომიმის თეატრისადმი ინტერესი თანდათანობით იზრდება. მის შემოქმედებითს გზაზე ტელესტუდიამ გადაიღო დოკუმენტური ფილმი. გასული წლის ზაფხულში მოსკოცერტის მიწვევით ქართველი პანტომიმისტები გამოვიდნენ ყაზახეთის რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში, სადაც მაყურებლისა და პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურეს. გასტროლებს სპეციალური გადაცემა მიუძღვნა ყაზახეთის რადიომ. ქართული თეატრი საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს პარტიის ატბასარის რაიკომმა და რაიაღმასკომმა, პეტროპავლოვსკის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა, სხვადასხვა ქალაქის სამრეწველო ორგანიზაციებმა და სამხედრო ნაწილებმა. ცენტრალურადის სახელმწიფო ფილარმონიის დირექციამ პანტომიმის ქართული თეატრის მიერ ყაზახეთში წარმატებით ჩატარებული სამეფო კონცერტებისათვის მადლობის წერილი გამოუგზავნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ო. თაქთაშვილს, რაც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ამ კოლექტივის მაღალ საშემსრულებლო ოსტატობას... თეატრმა წარმატებით ჩაატარა გასტროლები მოძმე სომხეთში. სომხური ხელოვნების ოსტატებმა და იქურუმა პრესამ მაღალი შეფასება მისცეს ამ ახალგაზრდა კოლექტივს.

თეატრის ცხოვრებაში საინტერესო ფაქტი იყო ვერიპიდეს უკვდავი ტრაგედიის „ელექტრას“ მიმოსის ენაზე ამეტყველება. პრემიერა, რომელიც თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა, ინტერესით მიიღო დამსწრე საზოგადოებამ.

თეატრი ახლახან დაბრუნდა ხანგრძლივი საგასტროლო მოგზაურობიდან, ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში წარმატებით გამოსვლის შემდეგ იგი ეწვია მოსკოვს, სადაც რამდენიმე სპექტაკლი გამართა. მოსკოველებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართული თეატრის შემოქმედებას. სასიამოვნო ფაქტი იყო ისიც, რომ ერთ-ერთ წარმოდგენას დაესწრო მოსკოვში საგასტროლოდ მყოფი მიმის დიდოსტატი მარსელ მარსო. მან აღნიშნა, რომ მოიხიბლა თეატრის ეროვნული კოლორიტით, თვითმყოფი, საკუთარი ხელწერით, ნოველათა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, მსახიობთა საშემსრულებლო დონითა და რეჟისურით. მან განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა „ელექტრას“ და ნოველას „რთველი საქართველოში“.

დედაქალაქის პრესაში დაიბეჭდა არაერთი რეცენზია, სპექტაკლი გადაიღეს ავსტრიისა და ფედერაციული გერმანიის ტელესტუდიებმა.

დასკვნითი სპექტაკლის შემდეგ გაიმართა თეატრის რეპერტუარის განხილვა, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, თეატრებისა და პრესის წარმომადგენლები. თუ როგორი წარმატება ხვდა მოსკოვში პანტომიმის ქართული თეატრის ხელოვნებას, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ წელს 17 თებერვალს ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლი მოსკოვში აწყობს ამ კოლექტივის შემოქმედებით საღამოს. ეს იქნება ერთგვარი გზის დალოცვა ქართველი მსახიობებისათვის, რომლებიც 19 თებერვალს ახალ საგასტროლო ტურნეს იწყებენ ლენინგრადში, რის შემდეგაც გაემგზავრებიან ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და უკრაინაში.

პანტომიმა ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს უსიტყვო თეატრალურ წარმოდგენას, რომლის მოქმედი პირები აზრებსა და გრძნობებს ჟესტებით, მიმიკით გადმოსცემენ. იმედია, ქართული პანტომიმის თეატრის პოეტური ენა ყველასათვის გასაგები იქნება და არსად არ შეარცხვენს ჩვენი თეატრალური ხელოვნების ავტორიტეტსა და სახელს.

ტარიელ ხავთასი.

თვალსაჩინო გეოლოგი

ქ. ცაგარლის დაბადების 60 წლისთავის გამო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, გამოჩენილ გეოლოგს არჩილ ცაგარელს დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წელი შეესრულდა. არჩილ ცაგარელი ავტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა, რომლებშიც გაშუქებულია საქართველოსა და მეზობელი მხარეების ზედაპირული ნალექების პალეონთოლოგიის, სტრატიგრაფიისა და პალეოგეოგრაფიის ურთულესი საკითხები. იგი ითვლება ეგრეთწოდებული ინოცერამების (ორსაგდულიანების) უდიდეს სპეციალისტად მთელ კავშირში. მისი მეცნიერული ინტერესი გეოლოგიის ბევრ დარგს მოიცავს. კერძოდ, ის ფართო მუშაობას აწარმოებს კავკასიის მეზოზოური ნალექების სტრატიგრაფიისა და პალეონთოლოგიის გეომორფოლოგიის ნეოტექტონიკის და მეოთხეული ნალექების სტრატიგრაფიის შესწავლასა და დადგენაში. უშუალოდ მონაწილეობს საქართველოს სხვადასხვა მასშტაბის გეოლოგიური და ტექტონიკური რუკების შედგენაში, რომელთანაც პრაქტიკული გეოლოგიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლა არის დაკავშირებული. იგი ერთ-ერთი ავტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრია იმ დიდი მონოგრაფიისა — „სსრკ გეოლოგია“, ტომი 10 (საქართველოს გეოლოგიური აღწერა), რომელშიც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია დაამსახურა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. როგორც მეზოზოური ნალექების საკითხისო მცოდნე კავკასიაში, ის საბჭოთა კავშირის საუწყებათაშორისო სტრატიგრაფიული კომიტეტის წევრია, რომლის ხაზითაც დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მსოფლიო მასშტაბით. ამ მიმართულებით იგი ფართო მონაწილეობას იღებს საქართველოს, საკავშირო და საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესების, სესიების, კოლოქვიუმების და სექციების მუშაობაში როგორც მომხსენებელი, ზოგიერთი მათგანის წევრი და ორგან-პრეზიდენტი. საბედნიეროდ იგი რამდენიმე უცხო ენას ფლობს.

ა. ცაგარელი ამჟამად მეზოზოური ნალექების შესწავლის, უახლესი ტექტონიკური და გეომორფოლოგიური გამოკვლევების პარალელურად, დიდი ინტერესით მუშაობს საქართველოს გეოლოგიური და ტექტონიკური და საქართველოს ნეოტექტონიკური რუკების შედგენაზე. ის თანაავტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრია კავკასიის ტექტონიკური რუკისა, არის საქართველოს გეოლოგიური რუკის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1954 წლიდან დღემდე ა. ცაგარელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, ხოლო უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიურ ინსტიტუტში ა. ცაგარელი მუშაობს 1942 წლიდან; 1954 წლამდე უფროსი მეცნიერი თანამშრომელი იყო; ამის შემდეგ დღემდე — რეგიონალური გეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელია.

1960 წელს ა. ცაგარელს ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1969 წელს აკადემიის ნამდვილ წევრად. აღის აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის რეგიონალური გეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს წევრი, ეწევა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას საზოგადოება „ცოდნის“ და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის საზოგადოების ხაზით — კითხულობს ლექციებს, არის საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების, აგრეთვე მრავალი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წევრი.

ა. ცაგარლის მოღვაწეობამ პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. იგი დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის“ ორდენით და მედლებით. ეუსურვოთ მას ჯანმრთელი და ბედნიერი სიცოცხლე და შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობა.

პ. გამყრელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

პირველი პროგრამით

7 იანვარი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45—მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი — „შესვენებამდე 0:1“. VI სერია, 11.15 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. „არიციასა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, 11.45 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ I და II სერია. პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოება, 18.05 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის: „მშვენიერების სამყაროში“, 18.40 — კინონარკვევი, 18.55 — „მსოფლიო დღეს“, 19.10 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესსი“. IV სერია, 19.40 — „ტუმენის ოღქის შემსვედრი გეგმა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“, — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — ფერადი ტელევიზია, სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ III სერია (პრემიერა). პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოება, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საჭადრაკო მიმოხილვა“, 22.35 — კონცერტი „ზღვრიან სოფლის სცენის ვარსკვლავები“, 23.15 — ახალი ამბები.

8 იანვარი

10.35— ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „შესვენებამდე 0:1“—VII სერია (პრემიერა), 11.15 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. „არიციასა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, 11.45 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ I და II სერია. პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოება, 18.05 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის: „მშვენიერების სამყაროში“, 18.40 — კინონარკვევი, 18.55 — „მსოფლიო დღეს“, 19.10 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესსი“. IV სერია, 19.40 — „ტუმენის ოღქის შემსვედრი გეგმა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“, — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — ფერადი ტელევიზია, სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ III სერია (პრემიერა). პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოება, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საჭადრაკო მიმოხილვა“, 22.35 — კონცერტი „ზღვრიან სოფლის სცენის ვარსკვლავები“, 23.15 — ახალი ამბები.

9 იანვარი

10.35 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „უტყვი მეგობრები“, 11.55 — კინონარკვევი, 12.05 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა“, „არიციასა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, 12.35 — ფერადი ტელევიზია „სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი. „ბალზაკის დიდი სიყვარული“, IV სერია. პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოება, 16.30 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: „ნაძვის ხის ზეიმი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — ბავშვებისათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.00 —განცხადებები, 18.05 — მოსწავლეთათვის „რევოლუციონერთა ნაკვალევზე“. 18.30 — კინონარკვევი, 18.50 — „პოლიტიკური ეფიციალობიდია“, 19.10 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: ფერადი ტელევიზია, ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესსი“. VI სერია, 19.45 — „პოეტის საუბილეოდ“, 20.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — „ეთერშია ახალგაზრდობა“, 21.05 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“. V სერია (პრემიერა). პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ბალზაკის ბიბლიოთეკა“, 23.30 — ახალი ამბები.

10 იანვარი

10.35 — ახალი ამბები, (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: ბავშვებისათვის — კინოროგრამა, 11.30 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა „არიციასა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, 12.00 — სატელევიზიო ფილმი, 12.40 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“, V სერია. პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოება, 16.35 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელთა შემსვლელთა დასახმარებლად: ქიმიაში, 17.20 — სსრ კავშირის ისტორიაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — მოსწავლეთათვის „პიონერთა ბიბლიოთეკა“, 19.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.15 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესსი“ VII სერია, 19.40 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — კონცერტი, 20.35 — „მოამბე“, — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესსი“ VIII სერია; 19.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ბლუსი“; 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05— ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ IX სერია (პრემიერა) პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საჭადრაკო მიმოხილვა“, 22.35 — ოსური პოეზიის საღამო რუსთაველში, 23.45 — ახალი ამბები.

11 იანვარი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: ბავშვებისათვის — კინოროგრამა, 11.30 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა „არიციასა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, 12.00 — სატელევიზიო ფილმი, 12.40 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“, V სერია. პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოება, 16.35 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელთა შემსვლელთა დასახმარებლად: ქიმიაში, 17.20 — სსრ კავშირის ისტორიაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — მოსწავლეთათვის „პიონერთა ბიბლიოთეკა“, 19.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.15 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესსი“ VII სერია, 19.40 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — კონცერტი, 20.35 — „მოამბე“, — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესსი“ VIII სერია; 19.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ბლუსი“; 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05— ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ IX სერია (პრემიერა) პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საჭადრაკო მიმოხილვა“, 22.35 — ოსური პოეზიის საღამო რუსთაველში, 23.45 — ახალი ამბები.

12 იანვარი

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „შავი მთა“, 11.50 — კინონარკვევი, 12.15 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ VII სერია. პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები, 13.40 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.10 — კონცერტი, 15.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.45 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის, 17.15 — კინონარკვევი, 17.30 — „ფრანგეთი მელოდიები“, 18.05 — „ტელეტურნირი“, 18.25 — „რეპორტაჟი მხატვართა საშემოდგომო გამოფენიდან“, 19.15 — ფერადი ტელევიზია „ცხოველთა სამყაროში“, 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — „გამოჩენილი კომპოზიტორები“, ოიპან შტრაუსი, 21.35 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 21.50 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია, მუსიკალური პროგრამა, 23.10 — ახალი ამბები.

13 იანვარი

10.05 — დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — „კინოთაფრა“, 12.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — ბავშვებისათვის — „ცანგალა და გოგონა“, 18.35 — „ტელეტურნირი, 18.55 — „მზრუნველი ხელი მექანიზაციას“, 19.15 — ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესსი“ VIII სერია; 19.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ბლუსი“; 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05— ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ (I სერია) — პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — „საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ცისფერი ეკრანი“ (I იანვრის გადაცემის გამეორება), 23.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

19.05 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენ — საბჭოთა კავშირი“, 20.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ (I სერია) — პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — „საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ცისფერი ეკრანი“ (I იანვრის გადაცემის გამეორება), 23.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

19.05 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენ — საბჭოთა კავშირი“, 20.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ (I სერია) — პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — „საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ცისფერი ეკრანი“ (I იანვრის გადაცემის გამეორება), 23.20 — ახალი ამბები.

ტელევიზია

5 იანვარი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი — ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „შესვენებამდე 0:1“ (IV სერია), (პრემიერა), 11.00 — კინონარკვევი, 11.30 — „თქვენთვის, მშობლებო“ (გ